N 736-49
04/08/2015

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის # 53

დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი   ბ ა რ ა თ ი

2015 წლის მაისის თვეში საქართველოს სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ე.კიკნაძის სახ. სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებაში შემავალი ბაღების შემოწმების შედეგად აღმოჩენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად , კერძოდ N 1 ბაღში სამზარეულოს, ჭურჭლის სამრეცხაოს და ორი ჯგუფის სველი წერტილების მოსაწესრიგებლად, N 2 ბაღში სამზარეულოსა და დამხმარე სათავსოს რემონტისა და მოლითის საბავშვო ბაღში სამზარეულოსა და სველი წერტილების მოსაწესრიგებლად სასწრაფოდ საჭიროა 63,0 ათასი ლარი.

ვინაიდან მუნიციპალიტეტს ამ ეტაპზე არ გააჩნია თავისუფალი სახსრები, საჭიროა მოხდეს 2015 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებში ცვლილება დარგების მიხედვით, კერძოდ შემცირდეს:

- გზების მშენებლობის , რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები 40,0 ათასი ლარით.
- სოფლის მეურნეობის დაფინანსება 3,0 ათასი ლარით.
- სტიქიით დაზარალებული ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის ხარჯები 20,0 ათასი ლარით და სულ 63,0 ათასი ლარი გადატანილი იქნას სკოლამდელი

განათლების ხელშეწყობის არაფინანსური აქტივების ზრდის (არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია) ხარჯებში.

ვლადიმერ გელაშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი